შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერ
ს/კ: 445593705

ჯავახიშვილის 4ა
ბათუმი, საქართველო, 6004
ტელ: (+995) 511 400 303
ელ-ფოსტა: info@meridiani.edu.ge
ვებ-გვერდი: www.meridiani.edu.ge

MERIDIAN

LIMITED LIABILITY COMPANY
Meridian Maritime Training Centre
I/N: 445593705

Javakhishvilis str. 4a
Batumi, Georgia, 6004
Tel: (+995) 511 400 303
E-mail: info@meridiani.edu.ge
Web: www.meridiani.edu.ge

№ 00000219

18/09/2026

მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერ“-ის აღმასრულებელი დირექტორის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კოლეჯ მერიდიანში პროფესიულ სტუდენტთა მიღების მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა მისაღები კონტიგენტისა და ვადების დადგენის შესახებ
,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების, ,,2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 21 აგვისტოს N1081197 ბრძანების, ,,2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის მიზნით, აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 21 აგვისტოს N1081199 ბრძანების, ,,2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 21 აგვისტოს N1081200 ბრძანების, ,,2025 წელს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 21 აგვისტოს N1081162 ბრძანების, „აპლიკანტის მიერ 2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის შემთხვევაში, აპლიკანტისთვის რეიტინგში მისი ადგილის შესახებ (რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შემდეგ, სარეგისტრაციო სისტემაში რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიულლლი საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთის, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება, არჩევის ვადის დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 21 აგვისტოს N1081219 ბრძანების, ,,2026 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების

თარიღის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 21 აგვისტოს N1081182 ბრძანების, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 124-ე მუხლისა და საზოგადოების მოქმედი წესდების მე-7 მუხლის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 2026-2027 საშემოდგომო სასწავლო წლისათვის, კოლეჯი მერიდიანის „საგემბანე განყოფილების რიგითის“ მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტად განისაზღვროს 96 ვაკანტური ადგილი.
2. 2026-2027 სასწავლო წლისათვის, კოლეჯი მერიდიანის „საგემბანე განყოფილების რიგითის“ მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცედურები განხორციელდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ვადებში:

ა) აპლიკანტის რეგისტრაციის ვადა: 21.09.2026 – 09.10.2026
ბ) შიდა შერჩევის პერიოდი/ შედეგების ასახვის ვადა: 12.10.2026 – 08.11.2026
გ) აპლიკანტის მიერ პროგრამის არჩევის ვადა: 11.11.2026-13.11.2026
დ) დოკუმენტების მიღების ვადა: 13.11.2026 – 25.11.2026
ე) ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის ვადა: 25.11.2026-30.11.2026
ვ) ინფორმირების / სისტემაში სტუდენტის სტატუსის ასახვის ვადა: 30.11.2026
ზ) სწავლის დაწყების ვადა: 01.12.2026

1. დაევალოს კოლეჯი მერიდიანის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირს განახორციელოს ბრძანების აღსრულებასთან დაკავშირებული პროცედურები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზით დადგენილი წესის შესაბამისად.
2. დაევალოს კოლეჯი მერიდიანის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირს განახორციელოს ბრძანების ასახვა პროფესიული განათლების შესაბამის სისტემაში, ბრძანების ძალაში შესვლისთანავე.
3. დაევალოს კოლეჯი მერიდიანის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირს უზრუნველყოფილი იქნეს ბრძანების საჯარო გაცნობის მიზნით, კოლეჯ მერიდიანის ოფიციალურ ვებ- გვერდზე ინფორმაციის გავრცელება და განთავსება.
4. დაევალოს კოლეჯი მერიდიანის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირს უზრუნველყოს შესაბამისი კონსულტაციების გაწევა დაინტერესებული პირებისათვის.
5. დაევალოს კოლეჯი მერიდიანის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შპს კოლეჯი მერიდიანი
აღმასრულებელი დირექტორი
შარაბიძე ირაკლი